**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# თბილისის რუსული ენის შემსწავლელი სკოლა

თბილისის რუსული ენის შემსწავლელი სკოლა, დაარსდა თბილისში 1778. ხელმძღვანელობდა ცნობილი საზ. მოღვაწე და მეცნიერი გაიოზი (შემდგომში გაიოზ რექტორად ცნობილი). სკოლა დაარსდა ქართ.-რუს. *პოლიტ.* და კულტ. ურთიერთობების გაფართოების პირობებში იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობა უკეთ გაცნობოდა და შეესწავლა რუს. ენა და კულტურა. სკოლამ თბილ. სხვა სკოლებთან ერთად, არსებობა შეწყვიტა 1795, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ.